

K 77734
2

ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა

ბაზონ-ჟოგის ბაუშეშეშე

(1861—1911 წ.)




თფილისი
ელექტრო-მბეჭდავი „რომა“, გუბრანის ქუჩა, № 12.
1911

ბატონ-შოთა ბაშაშვილი

77734
2
K

(1861—1911 წ.)





სელმუიუე ალექსანდრე II.

ბატონ-ყმობა რუსეთში.



აშინელი სენი ბატონ-ყმობისა მძვინვარებდა რუსეთში და მის წინმსვლელობას ხელს უშლიდა. ორას წელიწადზე მეტი ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში იყო. მართალია, მონობა არ იყო ახალი რამე და უფრო გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში და რომში. ზოგი ერთი ფილოსოფოსები ამტკიცებდენ, რომ თვით კანონია: ერთი უნდა იყვეს ბატონი, მეორე—მონა-ყმა. ეს ყმა მოკლებული იყო ყოველივე უფლებას, მას ნება არა ჰქონდა თავისუფალი ცხოვრებისა, ნება არა ჰქონდა, სადაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ეცხოვრა; თავისი ოჯახი ჰქონოდა. მისი ოჯახი ხელ შეუხებელი არ იყო. ბატონს შეეძლო ყოველ წამს ოჯახის მშვიდობიანობა დაერღვია. ყმას არ უყურებდნენ როგორც ადამიანს, სწორს. ყმა იყო პირუტყვი, ბატონისათვის გამოსაყენი საქონელი. შესანიშნავად არის დასურათებული მონობის საზიზღრობა მშვენიერ წიგნში „ბიძია თომას ქოხი“. ეს წიგნი ამერიკელი მწერალი ქალის დაწერილია და იმაში ცხოვლათ არის გამოყვანილი ტანჯვა-ვაება შავი კაცისა, — მონებისა. მაგრამ ადამიანი ყოველგან ერთია და მისი ტანჯვაც ერთნაირია.

მდიდარი მებატონე მეძებარშიაც გასცვლიდა თავის გლეხს, მთელ მის ოჯახს. რუსის მწერალი ნეკრასოვი, რომელიც თავისს ლექსებში ისე ცხოვლად, ნათლად დაგა-

ნახევბთ ყმის მდგომარეობას, ამბობს: „ათრთოლებული და მუდამ შეშინებული ყმები შურით შესცქეროდენ ბატონის მეძებრებს, რომლებსაც მეტი პატივი და ფასი ჰქონდათ. რუსეთში მე-XVI საუკუნეში გლეხი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, მაგრამ ქონებრივმა დამოკიდებულებამ მემამულესთან ცოტ-ცოტათი შეჰპოქა გლეხი. გლეხს წაერთვა ჯერ უფლება ადგილიდან ადგილზე გადასვლისა, მას დაუნიშნეს სხვა და სხვა გადასახადები. ნელ ნელა გლეხი ჰკარგავდა თავის პირადობას, თავისუფლებას. გლეხს აღარ შეეძლო თავისუფლად მუშაობა; და თავისუფალი მუშაობა კი არის საფუძველი ყოველ გვარ ბედნიერებისა.

დამოკიდებულება ბატონთა და გლეხთა შორის იზრდებოდა და მე-XVII XVIII საუკუნეში—წინეთ უკვე თავისუფალი გლეხი—შეიქმნა ყმათ, იმ არსებათ, რომელსაც აღარჰქონდა არავითარი უფლება, რომელსაც უყურებდენ, როგორც რამე ნივთს, საქონელს.

საშინელი იყო ცხოვრება ასეთი ყმისა. მემამულე სწოვდა მის უკანასკნელ ძალას, ვერაფერი მას ვერ შეიკავებდა, ოღონდ ბატონს დაეკმაყოფილებინა თავისი ჟინი.

ვისა სთხოვდა შევლას უფლება დაკარგული ყმა! ვის შესჩივლებდა? სასამართლოს კარები მისთვის დახშული იყო. „სამართალი მარტო მდიდრებისათვის და ბატონისათვის იყო“. მცირედი დანაშაულობისათვის, ნაბრძანების აუსრულებლობისათვის მას მოელოდა გაროზგვა; ამასაც არ აკმარებდენ „საღდათათ“ მისცემდენ. იმ დროის საღდათობა კი ყმობაზე უარესი იყო.

გლეხებს ჰყიდდენ ცალ-ცალკე და მთელი ოჯახობით. დედას წაართმევდენ შვილს, ცოლს მოაშორებდენ ქმარს, მოხუც მამას წაართმევდენ მარჩენელ შვილს. ბატონს

იმის ნებაც ჰქონდა, რომ შეეძლო როგორც უნდოდა ისე დაესაჯა თავისი ყმა. ის ყოველთვის მართალი გამოდიოდა, რადგანაც მას თავის სწორთან არ ჰქონდა საქმე, არამედ თავის საქონელთან, თავის საკუთრებასთან. არავითარი ხვეწნა-ვედრება, ავათმყოფობა—უძღურობა, სიბერე—არას უშველიდა ყმას. მებატონეს სახლში დილიდან საღამომდე ლანძღვა, ლაწა-ლუწი, ტირილი ისმოდა. ყმა-ქალის მდგომარეობა უკეთესი არ იყო. მას არ შეეძლო გაჰყოლოდა ცოლად იმას, ვისაც მოისურვებდა. ბატონს უნდა ამოერჩია მისთვის ქმარი, ხშირად საქმროს საცოლოს მოაშორებდნ და მიათხოვებდნ ვინმე უცხოს, რომელიც არც კი ენახა მთელი დღეობით ყმა-ქალი ბატონის სახლში მუშაობდა—ქსოვდა, ჰკერავდა და სხვა.

მებატონეებს არ უნდოდათ გაეგოთ, რომ გლეხი იგივე ადამიანია. მემამულეებს არ უნდოდათ აეხილათ თვალები და დაენახათ, რომ სახელმწიფო იღუბება, როდესაც თითქმის მესამედი მისი მცხოვრებლებისა ყმათ არიან ქცეულნი. ბატონ-ყმობა ხელს უშლიდა მეურნეობას, მრეწველობას და სახელმწიფოს შემოსავალი მცირდებოდა. ყმები, რომელთაც ნება არა ჰქონდათ ემუშავნათ ისე, როგორც სურდათ, თვითონაც იღუბებოდნ და სახელმწიფოსაც ღუპავდნ. რადგანაც მრეწველობა და არც მეურნეობა იყო—ცხოვრება ძლიერ ძვირი შეიქნა და ყველაზე უფრო ეს ღირბი ხალხისთვის იყო საგრძნობელი. ყმა იძულებული იყო ძალდატანებით სვისათვის ემუშავნა და თვითონ ვერავითარ სარგებლობას ვერ ხედავდა თავის შრომისას ამიტომ ის ცუდად მუშაობდა, უგულოთ! რაც კი რამ ჰქონდა ოჯახში გლეხს,—ბატონისთვის უნდა მიეტანა—კვერცხი, ფრინველი, ხილი, ტილო, ნაქსოვი არშიები. თუ რამე

ხელობაც იცოდა—ბატონის სასარგებლოთ უნდა გამოეყენებინა. გლესს დრო არა ჰქონდა ემუშავნა თავის დაობლებულ ყანაზედ—თავისთვის, საქონელი ცოტა ჰყავდა. გლესები ცხოვრობდენ ქოხებში, რადგანაც დრო არ ჰქონდათ აეშენებინათ სახლი, ტყეც რო ჰქონებოდათ.

თუ გლესი შინა ყმა არ იყო, მას ამუშავებდენ ქარხნებში. ზოგი მემამულე ასობით ჰყიდდა თავის ყმებს რომელიმე ქარხანაში სამუშაოდ.

ყმა თუ გაქცევას დააპირებდა, მას მოელოდა სასჯელი. შეერთებულ შტატებში თუ მონა პლანტაციიდან გაიქცეოდა, მას გაადევნებდენ დაგეშილ ძაღლებს, როგორც მხეცს. რუსი-ყმა უკეთეს მდგომარეობაში არ იყო. ისინიც გაჭირვებას განიცდიდენ, სიმშლიისაგან და დარღისაგან იხოცებოდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსეთშიაც ხალხში უკმაყოფილება დაიბადა. ხშირადაც აქა-იქ გლესები აჯანყდებოდენ ხოლმე, მაგრამ მათ მალე ჩაახუმებდნენ სხვა და სხვა ზომების საშუალებით.

ამიტომაც იყო, რომ ხელომწიფე, ალექსანდრე მეორე ეუბნებოდა თავის თანაშემწეებს: „სჯობს გავანთავისუფლოთ გლესები ჩვენ თვინონ, მაღლაღან, ვიდრე უცადოთ იმ დროს, როდესაც თვით გლესები დაიწყებენ ამ საქმეს ქვემოდან. გთხოვთ ამაზე იფიქროთ და მოიყვანოთ ეს საქმე აღსრულებაში.“

ზოგი მოწინავე კაცები გრძნობდენ, რომ საქმე ასე დიდხანს ვერ გასტანს, საჭიროა გლესებს მიეცეთ თავისუფლება, საჭიროა მემამულეებმა პირადი სარგებლობის გარდა იფიქრონ საზოგადოებრივ სარგებლობაზედაც.

მაგრამ მათი ხმა იყო „ხმა მღალადებელისა უდაბნოსა შინა“.

თვით ცხოვრებაც ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია 25 მილიონი ხალხი დამონავებული, უფლებებს მოკლებული იყოს. ცხოვრება უჩვენებდა, რომ საჭიროა განთავისუფლდეს ხალხის შრომა, მიეცეს ამით შეძლება თავისუფლად განვითარდეს მისი ნიჭი და ძალა.

ასეთი იყო რუსეთის მდგომარეობა, როდესაც ტახტზედ ავიდა მეფე, ალექსანდრე მეორე. ერთი მხრით 25 მილიონი ხალხი დამონავებული, მეორე მხრით მებატონეები — ბატონ-ყმობის მოტრფიალენი, რომელნიც ამბობდნენ: „რათ უნდა ყმას თავისუფლება? თავისუფლება მისთვის მავნებელია, ის ვერ მოიხმარს მას. ყმა უმცროსი შვილია ადამიანისა. მას ეჭირვება სასტიკი მამა-ბატონი.“

ზოგრც ამბობდა, როგორ გინდათ თავისუფლება მისცეთ იმ ხალხს, რომელიც ახლაც, ჩვენ მფარველობის ქვეშ, ცუდ ზნეობას იჩენს!

ყმებს ესმოდათ, რომ მათ განთავისუფლებაზე ლაპარაკობენ, ესმოდათ, როგორ საუკეთესო მამულის შვილნი თხოულობდნენ დაუყოვნებლივ მათ განთავისუფლებას და ხალხი ღელავდა, — მას ბევრი მიზეზიც ჰქონდა აღელვებისა.

ხელმწიფის ბრძანებით შესდგა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია გეგმა მანიფესტისა. ეს კომისია მუშაობდა ოთხი წლის განსავლობაში და ბოლოს 19 თებერვალს 1861 წ. წარუდგინეს ხელმწიფეს ხელმოსაწერად.

ეს იყო საუკეთესო საქმე, რომელიც მომხდარა როდისმე რუსეთის ხალხის ცხოვრებაში.

აი, როგორ ასწერს ბატონი ჯანშიევი იმ წუთებს, როდესაც ხელმწიფეს უნდა მოეწერა ხელი მანიფესტისთ-

ვის. „ალექსანდრე II-მ მოისურვა მარტოდ დარჩენა. რადგან ამ წუთში უნდა მომხდარიყო დიდებული საქმე მისი მეფობისა. რუსეთში იწყობოდა ახალი ხანა ისტორიისა. ხელმწიფეს უნდოდა მარტოდ დარჩენა, უმოწმოდ, თავის სინიღისთან... მან აღელვებულმა მანიფესტს ბატის კალმით მოაწერა ხელი. ასრულდა დიადი საქმე“.

5 მარტს 1861 წ. ხალხს საყდრებში წაუკითხეს ეს მანიფესტი.

„გამოისახე პირჯვარი, ერო მართლმადიდებელო, მოუწოდე ჩვენთან ერთად უფალსა, რათა მან აკურთხოს თავისუფალი ნაშრომი შენი, რომელიც შეიქნება საფუძვლად შენის ოჯახის ბედნიერებისა და საზოგადოების კეთილდღეობისა.“

ხალხს თითქოს არ სჯეროდა. ის თავის განთავისუფლებას, როგორც მოულოდნელ სასწაულს, ისე უყურებდა.

რა მისცა გლეხებს 19 თებერვალმა? პირველად ყოვლისა პირადი თავისუფლება. გლეხს შეეძლო ახლა თავისუფლად ემუშაენა თავის მიწაზედ. მას შეეძლო, როგორც პირადად, ისე მთელი საზოგადოებით, შეეკრა ყოველგვარი პირობები, ვაჭრობა დაეწყო, ქარხანა გაეხსნა, მრეწველობისთვის ხელი მოეკიდა, ყოველგვარ აღებ მიცემობის უფლება მიეცა. მისი დასჯის ნება უსამართლოდ აღარავის არ ჰქონდა, გლეხი კანონის მფარველობის ქვეშ მოექცა, რომელიც ყველასთვის ერთი გახდა მას შეეძლო ეჩივლა, გლეხს ეძლეოდა ნება სხვა წოდებაში გადასვლისა, შვილები სასწავლებელში გაეზარდა, სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. რაც შეეხება მიწას, რადგანაც ყმა ეკუთვნოდა ბატონს, გლეხებს უნდა გამოესყიდნათ ბატონებისაგან თავისი წილი „ნადელი“. ნადე-

ლები სხვა და სხვა ნაირი იყო. იქ, სადაც მიწა ბევრი იყო, ხალხი კი ცოტა სცხოვრებდა მასზედ, ნადელები მეტი მიეცემოდათ. იქ კი, სადაც მიწა ცოტა იყო, ნადელებიც ცოტა მიეცემოდა.

ბატონ-ყმობის მოსპობით რუსეთში ცხოვრების ცვლილება დაიწყო. ბატონ ყმობის გაუქმებამ საზოგადოებას დაანახვა, რომ ყველანი თანასწორნი არიან, — აღარც ყმა და აღარც ბატონი არ არის; ამას შედეგად მოჰყვა რეფორმები: უწინ სასამართლო იყო მარტო ბატონებისთვის და მდიდრებისთვის, ახლა კი სამართალი ყველასთვის ერთია. უწინ საქმეები სასამართლოში ოცი წელიწადი ირჩეოდა, მოსამართლეები მოქრთამენი იყვნენ, ახალი რეფორმა კი მოიახოვდა, რომ მსჯავრი ყველასთვის „მსწრაფლი, თანასწორი და მოწყალე“ ყოფილიყო.

სამხედრო სამსახურში გაჰყავთ ახლა როგორც ბატონი, ისე ნაყმევიც. ესეც გლეხების განთავისუფლების შედეგი იყო. სწავლა საერთოთ ყველასათვის მისაწვდენი გახდა. საზოგადო საქმეებში გოები თავადთან ერთად მონაწილეობას იღებს. ცემით სასჯელიც გააუქმეს.

მართალია, ყველა ამ რეფორმებს ცხოვრებაში ჯერ მაგრად არ მოუკიდიათ ფეხი, ყველა არ არი სისრულეში მოყვანილი, მაგრამ 19 თებერვალი ითვლება იმ დიად დღეთ, როდესაც პირველად თავისუფლებას მზემ ამოანათა რუსეთში.



თავისუფლების გამოცხადება. *)



იდებული დღე იყო ეს დღე ჩვენთვის. მზე ცხოვლათ ანათებდა, ფრინველებს შიკჭიკი გაჭქონდათ. გასაფხულის დამდეგი იყო. მე აუჩქარე ფენი, მინდოდა მენახა ხალხი როგორ მიიღებდა თავისუფლების გამოცხადებას. ეკლესიაში ტევა არ იყო. მე ქუჩაში შევდგი, აქ მდგომ ხალხში გავერიე. გალავნის კედლიდან ეკლესიის გაღებული კარები მოჩანდა, იქიდან მოისმოდა დრო და დრო გალობა, გუნდრუკის კმევა; ვხედავდი ხალხი როგორ ევლავდა, როგორ ხელ ახერობილი ღაღადით ლოცულობდა.

უცბათ გაისმა ხარის რეკა, ერთი... ორი... სამი... მეძდეგ გალობა და ეს სასოებით აღსავსე ხმა, თითქოს შორს, შორს, სადღაც ჭავერში გაიფანტა.

*) მანიფესტს ხელმწიფემ მოაწერა ხელი 19 თებერვალს, ხალხ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში მარტის გასულს და ახრელში იყო გამოცხადებული.

«ჩვენ, ალექსანდრე მეორე, ღვთის ნებით...»
კვლავ მოისმა საუდრიდან ხმა. ამის გაგონებაზე
დაძსწრენი ჰირქვე დაემხვენ და ეველას სპინელი
კენესა და ტირილი წამოსქდათ და საერთო სი-
ხარულს ჩვენც ბანი მივეცით. ვიმეორებდით იმათ-
თან ერთად „თავისუფლება, თავისუფლება“! მერე
გამოჩნდა ჯვარით ხელში მცხოვანი, გათეთრებუ-
ლი მამა ჰაისი. ის მთლად თრთოდა, ფეხის გა-
დადგმა უჭირდებოდა და ატირებულ დიაკვანს ხე-
ლით მოჭყვებდა. მათ მოსდევდა სოფლის ბო-
ქაული, რომელსაც ხელში მანიფესტი ეჭირა და
ისიც ბავშვივით ტიროდა. მამა ჰაისი აკანკა-
ლებული ხელით ასსურებდა ხალხს, რომელიც კი-
დევ დიდხანს იყო მიწაზე განთხეული და ტი-
როდა.



ემა და მებატონე.

(ახრდილიდან)



გერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწოროზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დაჰსწორდა სასწოროზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ ვუღოს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰხრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
გერ დაარბილებს მას შებრალება:
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედ-შავი, მონა საწყალი
სდგას, ევედრება მის თვალი შევებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევეძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის-ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ქირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ შვილო, კი არას გარგებს.

ვაიძე, ბედ-კრულს რაღა დამრჩება,
რომ გაფანტო ცოლ შვილის თვალი?..
ვინა ჰპრომოზდა და ვინა ჰძღვება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!...

ილ. ჭავჭავაძე.



მანძის მანძის...



მანძის, მანძის სანატრელი
სალხთ ბორკილის სმა მტვრევისა!
სიმართლის სმა ქვეყნადა ჭქუსს
დასათრგუნვად მონობისა.

აღმიტაცებს სოლმე ეს სმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს სმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!..



გლეხის აღსარება



ხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხა-
ზი ხარ!...

თავ-დახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ
მაზიხარ.

დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!...

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დამეძებ?! შენი ფიქრი ეს არი:
„ნეტავ ვინ გაასწორა ერთადღო მთა და ბარი?!“

ამით ჩვენის კავშირის უფლებით ხარ შემცვლელი;
ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი!...
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალს დროს რომ მოელი?
რად არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი!“

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს,
მტერს ვინ უწინაღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვეყურებს?

ერთმანეთის მტერს ველარც მამული გვიმსახურებს
და ახალს ღროს დაგვასმენს, შვილის-შვილთ მოგვა-
მღურებს.

მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ როგორღაც გემწარა,
მეუბნები: „შენ ვინ ხარ, ვისი ტიკი-ტომარა?“
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა
და მაშინ აღიარე—მართალს ვამბობ, თუ არა?!...

აკაკი.



შრომის შვილს.

(ახრდილიძან)

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ-მძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად.
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვეთა ჰყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძღვევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა დელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი
ქემარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

ილ. ჭავჭავაძე.

ოსმან-ალას თავგადასავალი *).

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— დიახ დურმიშხანი, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არა, არსად.

— მაშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი ქვეყნის კუთხეთაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზედ, ზედ არაგვის პირზე, ბოდორნას და ნაოზას შუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ. ეს სოფ., თითონ პატარა, სჩანს დიდი თავის ვენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის სახასო, იდგა მამა-ჩემიცა, ჩემ საუბედუროთ ბატონის ყმა, თითონ მხნე, მყოლელი ყვეარი ხარ-კამბეჩისა და რამდენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა. მამა ჩემი ირიცხოდა თავ-კაცად ჩვენ სოფელში და არა დავა, ანუ სხვა რამე შესახება სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ დაჰკითხოდნენ ზალიკას, — ეს იყო მამი-ჩემის სახელი. ახ, რა იყო ის დრო! რა კმაყოფილებით დაფუჯდებოდი ხოლმე მე უღელზე და უზრუნველად დავძახოდი ოროველას, წავიდა ის დრო, — დრო უმანკოებისა, ჟამი წმიდისა სინიდისისა და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნის-დედა უბძანებდა ხოლმე ოროველას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ოსმალოს იანიჩარის ასის თავი, მქონებელი სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს ჩემსა, რომ შეიძლებოდეს მობრუ-

*). დ. ჭონქაძის რომანიდან „სურამის ციხე“.

ნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს. მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამ გვარმან ბედნიერებამა ჩვენმა. ერთხელ მამა-ჩემი წავიდა ძნის თავ-დაღმართზე, ჩვეულებისამებრ მოუძლოდა ის ურემს წინ, რომ არ დაქანებულიყო, მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამბეჩის თავი ველარ დაუჭირა, კამბეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სახლის ყოველივე გადაბრუნდა გულადმა. ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რომ აღარ შეგვეძლო მოვლა, მემრე თითო-თითოთ ხარ-კამბეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა ჩემს, რომ გადასხლეგულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი! უნდა ვენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვართ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რომ დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

იტირებს, იტირებს და დაჩუმდებოა, — აი აზრი მებატონეთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა.

— დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედა ჩემი. რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არა ვიცი რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გამსახურებიან, რასაც მოვიყვანთ სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს აფუშრუკამთ და იმას ვსჯამთ, ოღონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს. საწყალო ჩემო შვილებო! — და იმან მიგვიკრა გულზე იმ გვართ, თითქოს ის იყო გვდებდნენ სამარეში

—ეჰ! დედა-კაცი, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, ხვალვე მზათ იყავო, — უბრძანა ბატონმა და გაიცინა იმიტომ, რომ ერთმა მწევარმა რაღაც სასაცილო ქნა. — ოჰ! რა საზარელი იყო ის სიცილი დედი-ჩემის მწუხარებასთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი. იმისთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.

რალა მოგაბეზრო თავი ბევრი ლაპარაკით: მეორე დღეს ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რომ წარგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და გვიბრძანა, რომ მე და ჩემი და, — ერთი დაცა მყვანდა მე, — მე და ჩემი და უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურეთ, დედა-ჩემს კი უბრძანა ყოფნა პურის მცხოვრებლად. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთი წელიწადი. თვითონ მოსამსახურე, შენ იგრძნობ, რა ნაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში? მაგრამ ამბობენ კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო. ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენ ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი იქნება იმიტომ რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდან. ვახშამზე, რომ ვემსახურებოდით იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაც ლაპარაკი ჩუმათ არ ვიცი რათა. მაგრამ სტუმარმა რომ დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულში იგრძნო, რომ ჩემ თავს მოელოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა ჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინე მე და ჩემი და იმ ღვდლის გასაყოლათ.

— რათა, უენი ჭირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ.

რასაკვირველია, ეს გამჟღავნება მე მივიღე ისე, ვითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს და, რა უფრო გამიკვირდა, დედა ჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ და მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელეებზე შევატყე, რომ ჰქონდა ცუდი ყინულივით და უკანკალებდენ.

შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვევნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში. დედა-ჩემი ადგა და გამოვიდა, მხოლოდ ჰკითხა ბატონს საროდით მოვემზადებინეთ ბატონმა უბრძანა, სახვალისათა.

იმ ღამეს, შუალამისას, როდესაც სულ ყველამ დაიძინა, დედა ჩემი ადგა, ჩუმათ გამალვიძა და შემდგომ დარიგებისა საღ მომეცადნა, გამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედა ჩემი ჩემი ღით.

— აბა, ახლა შევიღებო, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ გზას, — გვითხრა დედა ჩემმა, გადაგვწერა პიჯვარი, გაგვიძღვა წინ და გვითხრა რომ მივსულიყავით.

ღამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი, დედა ჩემმა იფიქრა, თუ საძებნელათ გამოგვიდგებოდნენ მოგვძებნიდნენ უფრო უაღაგო ალაგას და ტყეში და იმიტომ დაადგა ქალაქის გზას და იმაზე წამოგვიყვანა. რომ ირაყრაყა, ჩამოვედით ღართისკარის ქალაქში. აქ დედა ჩვენმა აგვსვა ჩვენ ერთი დიდი მუხის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლით და გვით-

ხრა, რომ ვყოფილიყავით იქ ჩუმად, მთელი დღე გავატარეთ იქ და რომ დაღამდა წამოვედით და ჩამოვედით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამოგვიდგა მეთქი, და ან დედა ჩემმა ქალაქისკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედა ჩემს ჰყვანდნენ დედის ძმები; მაგრამ გამოჩნდა, რომ ბატონი მართლა გამოგვდგომიყო საძებნელად მეძებრებით და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ, და დედა ჩემმა მიხვდა რა. რომ ეს იქნებოდა, წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოვედით, ერთი კვირა ისე გავვიძინებოდა ცხოვრება, რომ კინალამ შიმშილით დავიხოცენით. სოფლიდგან რაც ხორაგი წამოვიღეთ ის მესამე დღესვე გამოგვეღია და მემრე არავინ არა მოგვცა რა, ჯერ ერთი იმიტომ რომ მათხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა, რომ შეაბრალოს თავი, რომელიც ჩვენ არა გვქონდა და მეორე—არა გვქონდა იმისთანა ნაკლულეყვანება სხეული სა, რომ შევბრალებოდით ხალხს, მაგრამ განგება ღვთისა არსად აგდებს კაცს უნუგეშოთ. ერთ კვირას უკან დედა ჩემმა დაგვაყენა ერთ ბერძენთან მოჯამაგირეთ, თითონ კი დაიჭირა კლდის უბანში ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურის მცხოვლობა. დამავიწყდა მეთქი: დედა ჩემმა დაირქო სომხობა და სულ-ყველას სახელები გამოგვიცვალა. თითონ დაირქო მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას შუშანა, ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს. ჩვენც დავდიოდით სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედა ჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ რომ სომხის საყდარში არ გვაზიარებდნენ, რო

ცა, რომ შეიტყობდნენ, ქართველები ვიყავით; ქართულ ეკლესიაში კი ვერა ვბედავდით ზიარებას, იმიტომ რომ გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ მარიამობის მარხვაში დედა ჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე არ იქნებოა. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა რომ სვინიდის ძრიელ შეეწუხებინა, რომ ვერ გაეძლო და ეთქო სულ ყველა; იმავე დღეს, როცა თქო აღსარება, ვილაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ.

რომ მივყვანდით, საწყალ დედა ჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეხვეწებოდა, რომ მიმეტევებინა იმისთვის ეს შეცდომა. საწყალი დედა!.....

ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს რომ შეგებით გუთანში, დიახ, გუთანში! ისე როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადეს კისერზედ, მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქად, იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა და ვერ დავიღალეობდით, და იმისთვის მეორე დღეს შეგვაბა კვერში კვერზე დაჯდა თითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დავმდგარვიყავით, ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამდენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედა ჩემი, თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდგან. შეთერთმეტეთ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა ჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედა ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა,

რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა, და ასე, სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

—გამოუშვით ბიჭო ეგეცა, ხომ ხედავ ამხანაგი აღარა ჰყავს,—უთხრა ბიჭებს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომიშვეს. სალამოხედ მომცა საშინელი სიციხე, შუალამემდე ვეწვალე საშინელად. მე მეგონა ცოცხალი ჩამაგდეს ჯოჯოხეთში მეთქი; შემდგომ შუალამისა კი აღარა მახსოვს რა. გავხდომილიყავი ავით შვიი საოფლით. ჯერ ისე ავით რომ ვყოფილიყავ ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის სტკიოდა ჩემთვის გული, რომ საოფლეში, ამ საშინელ შესაყარ ავათმყოფობაში,—რომ ვინმე მომკარებოდა. მაგრამ არ ვიცი როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედი გრძნობას. ერთმა რეგვენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკვდილი და არც ავათმყოფობა, და რომელიც თურმე მივიღიდა მე ავათმყოფობაში, შემატყობინა რომ ჩემ გარდა კიდევ ბევრი იყვნენ ჩვენსავით ავით. ამ ავათმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათ ში ერთი ერთი პირმშო 'შვილი ჩემი ბატონისა.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენო? ეძებდა ჩემში ერთგულობას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი იმისი ერთგული. ხა, ხა, ხა, ერთგულობას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში. საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგ გვარნი კაცნი!

მე შემისრულდა ოც და-სამი წელიწადი. ამ დროს ქაღბატონს ყვანდა ერთი გოგო სახელად ნატო. წაბლის ფერი გრძელი თმა, ბამბასავით თეთრი პირისახე,

კოტათ მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილებით, ტანი შუათანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა და ლამაზი; მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშვენიერი, ეს იმის თვალები. არ ვიცი როგორ გამოვსახო ის თვალები.

— ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე. ის თვალები იყვნენ ცისფერნი და ისე სავსე საიდუმლოთი, როგორათა ცა, ის თვალები რომ შემოგხედავდნენ თითქო გიყვავებდნენ, თითქო გთხოვდნენ შეწყალებას, თითქო გეუბნებოდნენ: ახ რა კარგი კაცი ხარ. მე ვიყავ ნატო რომ მიყურებდა ხოლმე სწორეთ კატის მდგომარეობაში, როდესაც იმას უსობენ ზურგზე ხელს. როცა მიყურებდა ხოლმე ღმერთს ვეხვეწებოდი, რომ იმას ეყურებინა დიდხანს, მაგრამ საწყალი ნატო არ იყო იმისთანა, რომ სულ ყველასათვის ეყურებინა სხვა გომბიოებივით. მე დარწმუნებული ვარ ბუნება შეცდენილიყო, როდესაც ის დაებადა მოსამსახურეთ, და ჩვენი ქალბატონი კი ქალბატონათ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა რაღაზედაც გაჯავრდა, ნატოს უბრძანა მოტანა რაღაცის. ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვნა დროზედ.

— ოჰ, შე მამაძაღლო; ოჰ, შე უნამუსო, შეუტივა ქალბატონმა ნატოს, რომ მოვიდა—ნეტავი საჭმელი იყოს, რომ ჩქარა იპოვნო. რაზე ვეჭმევი ამ აზარქლებს, რაზე ვაჭლექებივებ თავს! გაყიდი, შე უნამუსო, აღარ შემძლიან შენი გაძლება.

— ქალბატონო მამატივე, შენი ჭირიმე დროზე ვერ ვიპოვნე ბატონის მზემ.

— შეხე, შეხე ამ უნამუსოს, როცა ტყუილათ უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს მივარდება ხოლმე.

— არა ღმერთმან... და ტირილით ველარ დაასრულა სიტყვა.

მე ველარ შევძელ ყურება და გამოველ კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან გაწუხებს ქალბატონი? — ვკითხე მე დაღონებით.

— ისე, რომ ლამის თავი მოვიკლა, — მიპასუხა იმან და დაიწყო ისევ ტირილი.

— ნუ სტირი ნატო, ღმერთი მოწყალეა, რაც გინდოდეს ხოლმე მე მომკითხე, როგორც შევიძლებ და რითაც შეგეწევი. ამის შემდეგ შენ და და მე ძმა, მეც შენისთანა ობოლი და უპატრონო ვარ, უნდა გენახა რა მადლობითი თვალებით შემომხედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო! მითხრა ნატომ, გამომაროო ხელი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

კარგა ხანი რომ გავიდა ერთხელ მოვახელე დრო და ვსთხოვე ბატონს ჯვარის წერის ნება.

— რას მიჰქარამ ბიჭო? ჯვარის დაწერა კი არა მამა გიცხონდა!

— შენი ჭირიმე ბატონო!

— ვისზე უნდა დაიწერო ჯვარი?

— იმას არა გთხოვ შენი ჭირიმე, ქალბატონის გოგოზე.

ქალბატონის გოგოზე?

— დიახ.

— დიახ — გამაჯავრა მე ბატონმა, — დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მოძებნო?

—რა ვქნა შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

—რაო? მოგეწონა? მომეწონა, თითქო ბატონის შევილი იყო? სხვა კი არა მოგეწონა-რა მამა გიცხონდა?

—ბატონო! . . .

—წადი, დაიკარგე, არ შეიძლება. მოსამსახურეს შინიღგან არ გაუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მინდიხარ.

—რას ვიტყვოდი, შენი მტერი იყოს ისე, როგორც მე გამოვედი ბატონის ოთახიღგან. ნატო კარში თურმე იდგა და მიცდიდა რა ამბავს გამოვიტანდი. გაშოსული რომ დამინახა აღარც კი მათქმევინა მე, დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდამაც მოველოდი ბედნიერებას, გახდა წყაროთ ჩემი უბედურებისა; აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანათ არც კი შეეხედნა ნატოსთვის და თითონ ნატოც თურმე ერიდებოდა იმას; მაგრამ მე რომ ვსთხოვე იმაზე ჯვარის წერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებოდა.

ერთხელ ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მომეხდინა ნატოზე ჯვარის დაწერა. უეცრად მომვარდა ნატო და ჩამომეკიდა ყელზე.

—ნოდარ, შენი ღვთის გულისათვის მიშველე რა ვქნა. ჩვენი ბატონი როგორღაც მიყურებს, თითქო მესაშიკება, ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, რომ საშინელია. რა ვქნა მითხარი?

—ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში.

—თავი მოარიდე, ნუ შეჭხვდები ხოლმე, ვუთხარი მე.

—ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოხს, სანამ მე იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მემრე რა ვქნა.

— ღმერთი გვასწავლის მემრე.

იმავე დღეს ბატონს განემეორებინა ნატოსათვის აშიკობა. ნატოს, რასაკვირველია, რომ იმისთვის არ მიეცა პასუხი, გამოვიდა სამი კვირა და ბატონს აღარა უთქვამს რა ნატოსთვის,

სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონმა, მომცა ერთი წიგნი და მიბძანა წაღება იმისი ქალაქს ერთ იმის მოკეთესთან და იქიდგან მოტანა იმ წიგნის პასუხისა. მე გამოვართვი ის წიგნი და წავედი ქალაქს. იმ წიგნში თურმე სწერდა ჩემი ბატონი, რომ მე დავეჭირეთ ქალაქში სამი ოთხი კვირა. სამი კვირა რა გავიდა წამიკიოხეს წიგნი და მითხრეს, რომ წავსულიყავ სოფელში. მე მაშინვე შევიტყვე რისთვისაც იყო ეს საქმე მოხდენილი და როგორც მივედი. სოფლის ბოლოს შემხვდა ერთი ბებერი დედა-კაცი:

— დედა-შვილობას მითხარი, ჩვენი გოგო რასა იქს? ვკითხე იმას.

— ეჰ, შვილო, ნუ მკითხამ, შენი მტერი იყო, ის რომ არის.

— რა ამბავია? მითხარი ჩქარა დედა-შვილობას, შეკრათომით ვუთხარი მე.

— რა ამბავია შვილო, ჩვენი ბატონი გააშიკებიყო იმას, და იმ წაწყმენდილს დაყოლებით რომ ვერა ექნა — რა, მემრე ძალა ეხმარა და შიშით თურმე უნდოდა შეეყვარებინა თავი. საწყალს ქალს ჯერ კი ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებიდან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი ნაოზას თავში თურმე იპოვეს საცოდავი.

მე ვეღარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები. გაცხარებული მივარდი ბატონთან.

ბიჭო. რა ამბავია?— დამიძახა იმან,— ეშმაკს გიგავს
ეგ სახე.

არაფერი, სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა შე
ძაღლი-შვილო, უთუოთ...

მე აღარ დავასრულებინე სიტყვა და მივარდი ხან-
ჯლით.

— რას შვრები, შე მამაძაღლო, მიშველეთ მომკლა
— დაიკივლა ბატონმა.

ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწ-
ყო სასიკვდილოთ ხრიალი, ბატონის შეკივლებზე გა-
მოვარდა ქალბატონი და ეს ამბავი რომ დაინახა, შეჰკივ-
ლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ძმამ მომაგონა,
რომ კიდევ მყვანდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პირნი და
გამოუდგე იმას. ოთახში რომ შევარდი, დავინახე რომ
ქალბატონი გარდახვევიყო შვილს და იფარავდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ გიგოს ნუ მომიკლამ,
არა დაუშავებია-რა შენთვის, მითხრა ქალბატონმა ხვე-
წნით.

— მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია-რა,
გაიმეორა ყმაწვილმა.

მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხვეწნა, სისხლისაგან
გაგიჟებულმა მე დავაკალი დედა შვილსა. გაბრაზებული
სისხლისაგან გამოვარდი კარში, შავჯექ ცხენზედ და გა-
მოვიქეცი. საღამოზედ დამეწივა მდევარი და, რასაკვირვე-
ლია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმე ან მოინდომა
მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავარდნი-
ლიყავ ახალციხისკენ, მე მართლა დავიჯერე იმათი და-
რიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე

გამოვცხადდი მუფტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს დიდის ამბვით მივიღე თათრობა, ვგმე ქრისტე, აქ ყველა ოსმალოს დიდ-კაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასვლა და იანიჩარის ჯარში გამწესება, მე წავედი და გავმწესდი. უნდა მოვახსენო, რომ აქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძრიელ კარვად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემ გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა.

ზოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში ან თუ საცა გინდა ყოველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნებოდა საღმობით.

—მე რა დაგიშავე. რათ მომკალ?

რამდენჯერ ვეძიე მე ომში სიკვდილი. რამდენჯერ გიჟივით გადავარდი გახშირებულ ომში, რომ ჩქარა გივსწორებულეყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა სინიდისი. შემდეგ იმ ფიქრით, რომ გავიქარვო ეს აზრები დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სინიდისი არ დამშვიდდა.

—ღმერთო! ზომეტევება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი.—სთქვა ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა: —საიღუმლო ხმა მეუბნება რომ არაო.



მებატონის მოგონება.

(სალტიკოვისა)



ატონ ყმობის დროს მებატონეს დამოკიდებულება თავის ყმებთან გიმოიხატებოდა ერთი სიტყვით: „განრისხება“ და ამ სიტყვას ყოველთვის ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ბატონი „განრისხდა“, მსახურმა გაანრისხა ბატონი, — მოისმოდა ყოველ მხრიდან შეშინებული ხმა. ყველგან ჩურჩულებდნენ: ქალბატონმა ინება „განრისხვა“. ბატონი ამაზე განრისხდებოდა.

სადილობის დროს ყველაზე უწინ მზარეულს გაუჯავრდებოდნენ. ჩვენი მზარეული მოხუცი იყო, (ახალგაზრდას იშვიათად ინახავდნენ სახლში, ბეგარაზე გზაც ნიღდენ, ეს უფრო ხელ-საყრელი იყო.) ის ერთი თვალით ბრმა და თანაც უწმინდური, მურტალი იყო. თუ საჭმელი მეტათ მარილიანი მოუფიდოდა დაუძახებდნენ და ამ მარილტუტა საჭმლისთვის ზურგზე მარილტუტას აადენდნენ. თუ საჭმელში შეხვდებოდათ შავი დიდი ჭია, მზარეულს დაუძახებდნენ და ჭიას დაადეჭინებდნენ. ზოგჯერ დედა ჩემი ვერ მონახავდა წვენიში რომელიმე ხორცის ნაჭერს, რომელიც თავის თვალით სამზარეულოში ენახა. ხელახლად მოათრევდნენ მზარეულს და იყო ერთი გამოძიება, თუ რა უყო ის ნაჭერი! ერთის სიტყვით ისე არ გაივლიდა სადილი, რომ უბედურ მოხუცს რამითი არ გაენრისხა ბატონები.

მზარეულის გარდა სუფრაზე განრისხდებოდნენ მოსამსახურე ბიჭებზედაც. მიზეზს აუჩვენებლს უპოვიდნენ. „ასე არ გადადგი ფეხიო, ისე არ მოგვართვიო, კარგათ არ გამოიყურებიო .. აგრე ქვეშ-ქვეშათ რას იცქირებიო დაგავიწყდა, რომ მაგისტვის ცხელ წყალში გაგფუფქვესო? რას ამთქნარებ? არ გახსოვს, როგორ ამას წინეთ მიგბეგვეს მაგისტვის?“

წამ და უწუმ კინწში ჰკრამდნენ, ემუქრებოდნენ გატყეპვას, მიბეყვას. მხოლოთ სადილობის დროს ცემა-ტყეპა შეჩერდებოდა. მამა ჩემი ღვთის მოყვარე კაცი იყო და სხვა ნაირათ იცოდა დასჯა. ვთქვათ განრისხდა რომელიმე ბიჭზე, რადგან მან ფეხი ისე არ გადადგა, როგორც რიგი იყო მაშინ მამა ჩემი გვერდით დააჩოქებდა, ან მთელ სადილობის დროს მუხლს მოაყრევინებდა.

მებატონის ოჯახში ყმა-ღედაკაცების მდგომარეობა უფრო ძნელი იყო, მეტადრე ხელზე მოსამსახურე გოგოებისა.

გოგოებს არაფრად აგდებდნენ, არაფერი ეკითხებოდათ, იმათზე ამბობდნენ: ფასი მათი გროშიაო. მათ გაკეთებულ საქმეს საქმეთ არა სთვლიდნენ. ბიჭებს ოჯახში ცოტაოდნათ მაინც აფასებდნენ, რადგან ზოგი ხელოსანი იყო და მის მაგივრობას აგრე ადვილად ვერავინ შესასრულებდა; თუ ბიჭი ხელობის კაცი არ იყო, ის ღირსება მაინც ჰქონდა, რომ ბატონის ხასიათი და ჩვეულებები შესწავლილი ჰქონდა. — იცოდა როგორ მიაწოდოს ტანისამოსი, ვთქვათ შალვარი, როგორი კილოთი დაელაპარაკოს. გარდა ამისა მებატონე ბეგარაზე გაგზავნიდა, ან სალდათათ მისცემდა და ამითი ისარგებლებდა. გოგოები კი რაში იყვენ გამოსაყენი მათი რიცხვი აუარე

ბელი იყო. ადვილად შეიძლებოდა ერთი მეორეს ადგილას ჩაეყენებინათ. ყველა მათგანი ართავდა, ყველა ჩულქს—წინდას ქსოვდა, ყველა ქარგაზე ჰკერავდა, ყველა არშიებს სწნავდა,—სხვა არაფერი...

გოგოებს ცუდათ აქმეე—ასმევდენ, ნახევარზე ტიტვლებს ინახამდენ, ძილს საკმაოდ არ ანებებდენ. შეუწყვეტელი, მუდმივი მუშაობით მისუსტებულნი და დაზანტებულინი იყვენ.

ჩვენ ოჯახშიაც გოგოები ყოველთვის ოცდა ათზე ნაკლები არ იყვენ. ყველანი, სანამ სინათლე იყო, ქსოვდენ, წნავდენ, ქარგაზე ჰკერავდენ. მაგრამ დაბნელდებოდა თუ არა, ყველას ერთად შეაგდებდენ პატარა ოთახში, სადაც ისინი ქონის სანთლის შუქზე ართავდენ დამის თერთმეტ საათამდის. გოგოები აქვე სადილობდენ ხოლმე, ვახშობდენ და დასაძინებლათაც აქვე ძირს ქილობებზე დაეყრებოდენ.

ამ გვარი ცხოვრება ძნელი ასატანი იყო. ბევრი მუშაობით და უჭმელობით გოგოები სულ მისუსტებულნი იყვენ, მიწის ფერი ეღოთ და ნაღვლიანი, მიბნედილი და მომძინარე შეხედულობა ჰქონდათ. მათ შორის არც ერთი ლამაზი არ მოიპოვებოდა. ბევრნი საშინელი მომთმენი, წყნარნი იყვენ; სწამდათ, რომ სიკვდილი მათ მიანიჭებდა ბედნიერებას და სიმხიარულეს, რომლებსაც ამა ქვეყნათ ვერა ხედავდენ. ნების კვირას, როდესაც ყოველ დღე წირვა-ლოცვა იდგა, გოგოები გამოცოცხლდებოდენ და უბოლოვოთ მოჰყვებოდენ მხურვალეთ ლოცვას. აღდგომა დღე—ერთად ერთი დღე იყო, როდესაც ყმა-ბიჭებ-გოგოებს სახე გაუბრწყინდებოდათ და თითქოს ბატონყმობა აღარ არსებობსო.

ყველაზე საძაგლობა იყო—გოგოებს რომ ზვერაო
ბას დაუწყებდენ.

უმეტეს ნაწილს მებატონეებს წესათ ჰქონდათ შემო-
ღებული, რომ გოგო-ბიჭებმა ერთმანერთი არ შეირთონ.
ცხადათ ამბობდენ, თუ გოგო ქმარს შეირთავს ბატონის
მოსამსახურეთ აღარ გამოდგებაო. გოგოებს უფრო სას-
ტიკათ ეკიდებოდენ, ვიდრე ყმა-დედაკაცებს. ერთი ათად
მეტ საქმის გაკეთებას მოსთხოვდენ.

მებატონის გოგოების ბინა უფრო უბედურ ტანჯულ-
თა თავწესაფარს მიეგვანებოდა. დილიდან დაწყობილი
მთელ სახლში გაისმოდა ცემა-ტყევა, წივილ-კივილი, ეტ
ყობოდა მებატონე ქალბატონი ავარჯიშებდა თავის ხე-
ლებს. გოგო უსიტყვო, ჩუმი, ყოველთვის მას თვალწინ
უდგა, აბა რას მოერიდებოდა, რას შეიკავებდა თავს. არა
თუ ქალბატონი სცემდა მათ, მისი პირფარეშებიც ხეირს
არ აყრიდენ ამ საცოდავებს.

დილიდან მოყოლებული სალამომდის გოგოები თავ
ჩალუნულნი ქარვას და საქსოვს უსხდენ, ან რეტია
ნივით დარბოდენ, რომ ბატონების ბრძანება დაუყოვნებ
ლივ აესრულებინათ. მათთვის არ სუფევდა უქმე დღეები,
დღესასწაულები, რადგან ბატონები სამსახურს მაშინაც
ითხოვდენ. ამ ტანჯვა-ვაებისთვის გოგოებს პირიქ თ
უჩახოდენ მუქთა ხორას, უქმნელს და არავის არ ებრა-
ლებოდენ. იმას მაინც გაითვალისწინებდენ, რომ ამათ
სარგებლობა მოჰქონდათ.

— ჩემი სახლი სავსეა მუქთა-ხორა გოგოებით, ამ-
ბობდა დედა-ჩემი—რაში არიან გამოსაყენი, ტყუილად
სჭამენ პურს!

ის რომ ამ სასტიკ სიტყვებს ამბობდა, სრული დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილ სიმართლეს ღაღადებდა.

როგორც ზევითა ვთქვი, ყველა მოსამსახურეებს ძალიან ნაკლებათ აქმევდენ და ისეთ საჭმლებს აძლევდენ, რომ ჰირში ჩასაშვები არ იყო. როდესაც მოუტანდენ გოგოებს სადილს ან ვახშამს, არა თუ ოთახში — მთელ დერეფანშიაც ისეთი საძაგელი სუნი დადგებოდა, რომ ადამიანი დაიხრჩობოდა. დედა ჩემიც კი ვერ მოითმენდა და გააღებინებდა კარებებს, რომ ჰაერი გასუფთავებულიყო. ცარიელი, უხორცო, ნაწყუმბლი წვენი, ახელილი სელის ზეთში ცომი, — აი ეს იყო გოგოების ჩვეულებრივი სადილი-ვახშამი.

დღესასწაულებში ამათ აძლევდენ კორკოტს-გაკეთებულს ბატის ქონში და ფშვრიის ფქვილში გამოცხობილ ქადას, რომელიც შავი პურიდან არ განირჩეოდა და დღს შეჭამადს. პური ყოველთვის წონით ეძლეოდათ. საბრალონი, ნახევარზე სულ მშიერნი იყვენ, თვით უენო გოგოებიც კი ბობოქრობდენ, ემღუროდენ.

— ინებეთ, ქალბატონო, გემო ნახეთ! შეუვარდებოდა რომელიმე გამბედავი გოგო დედა ჩემს ოთახში და მიაწოდებდა ხის ჯამს აყროლებულ უფერულ სისქით სავსეს. დედა ჩემი კოვზით ამოიდებდა წვენს, გემოს გაშინჯამდა და მაშინვე გამოაფურთხებდა. ამის შემდეგ ორიოდ დღეს საჭმელს უკეთესს მისცემდენ, მერე ისევ ძველებურათ დაიწყებდენ აყროლებულ საჭმლების მიცემას.

და სიმშვილობა ისევ გამეფდებოდა.

ყმა-ბიჭები უკეთეს მდგომარეობაში იყვენ. მათი

რიცხვი ცოტა იყო და არც ოთახში იყვენ გამომწყვდე-
ულნი. ბატონებს ყოველ წამს თვალ წინ არ უდგენ. მა-
თი საქმე სხვა და სხვა ადგილას იყო: ზოგი დურგალი
იყო, ზოგი დერჯიკი, ზოგი ფეიქარი. ესენი არც ეგრე
ადვილათ დააჩაგვრინებდენ თავს. ბატონებს ამათი ერი-
დებოდათ, ესენი საჭირონი იყვენ, უამათოთ იოლათ ვერ
წავიდოდენ. ამიტომ ეს ბიჭები თავხედობას იჩენდენ,
ურჩობდენ და კვახე პასუხებს იძლეოდენ.

დედა ჩემმა თავის თავზე სცადა მათი უკმიახობა და
თუმცა ძნელათ იცოდა თავის შეკავება, მაინც ყმებს თავ
დაჭერით ექცეოდა.

ბატონ და ყმათა შორის ხშირად მოხდებოდა უთან-
ხმოება, რომელიც თავდებოდა უბედურობით.

(თარგმანი)

ბატონ-ყმობა ჩვენში.



ბატონ-ყმობა ჩვენში ძველადგანვე იყო; ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო და თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა. ყოველს დიდ გვარიშიღილს-თავადს, ან დიდებულს ჰყავდა ყმები. ხშირად რამოდენიმე სოფელი და მთელი ხეობაც ერთს რომელსამე დიდებულს ეკუთვნოდა ამ სოფლებში და ხეობაში მოსახლე გლეხები ემორჩილებოდნ თავის ბატონს. ეს მორჩილება გამოიხატებოდა იმაში, რომ გლეხი ვალდებული იყო თავისი ბატონისათვის მიწა მოეხნა სარჩო მიეწოდებია. ყმა თავის ბატონს ყველაფერში ემორჩილებოდა: ბეგარას იხდიდა, მტერს ეომებოდა, ციხეს აშენებდა. ყმები ყოველთვის ჭმზად იყვნენ ციხე აეშენებიათ, რადგან კარგად გრძნობდნენ, რომ ციხე-სიმაგრე შენდებოდა არა მარტო მათი ბატონის—დიდებულ თავადის—დასაცავად, არამედ მათი ოჯახების შესაფარებლად შიშიანობის დროს. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ საქართველოს აუარებელი მტერი ერუყა ირგვლივ, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, შემოესევოდა და ააოხრებდა ხოლმე;

ხშირად მტერი ქართველებს ტყვეთ წაიყვანდა ხოლმე, უფრო-კი ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს.

საზოგადოდ ჩვენში, სანამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, დამოკიდებულება ბატონსა და ყმის შორის

მკაცრი ხასიათისა არ იყო. იმ დროის მემატონე, რომ კიდევ ცდილიყო თავისი ყმა დაეჩაგრა, ამას ვერ შესძლებდა, იმიტომ რომ ყოველი მოთხოვნილება ბატონისა თავისი ყმისადმი განსაზღვრული იყო ადათით, ანუ ჩვეულებით. ეს ჩვეულების კანონი მამიდან შვილზედ, ერთ თაობიდან მეორე თაობაზედ, გადადიოდა და მისი გადახვევა არავის არ შეეძლო. ყველას ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა მისი პატივისცემის გრძობა. აი ამ ადათით დაწესებული იყო, თუ რა უნდა ეძლია გლეხს თავისი ბატონისათვის. განსაზღვრული იყო თუ რამდენი დღე თვეში უნდა ემუშავნა გლეხს თავისი ბატონისათვის, რამდენი პური, ღვინო, სასუჭი, ქათამი, კვერცხი უნდა მიეცა მას თავისი მფარველ თავადისათვის.

ამგვარად, საქართველოში ქართველ ერის დამოუკიდებლობის დროს, ბატონყმობას შედარებით რბილი ხასიათი ჰქონდა.

სულ სხვანაირად წავიდა ქართველ ყმების საქმე, როდესაც ჩვენში რუსეთის მთავრობა დამკვიდრდა, ესე იგი XIX საუკუნეში. მაშინ ჩვენმა თავად-აზნაურობამ ევროპიულ ცხოვრებას აღლო აულო.

ახალი პირობები, ფუფუნება, ბალები, საღამოები ყველაფერი ეს ითხოვდა დიდს ხარჯებს. ეს ზედმეტი ხარჯები ბატონმა ყმისაგან მოითხოვა. ამან ბატონსა და ყმას შორის სიძულვილი ჩამოაგდო, ყმას მეტი შრომა დააწვა, წელში მოხარა; ასე რომ ჩვენშიდაც სწორედ ისეთივე ხასიათის ბატონყმობა დამყარდა, როგორც იყო მაშინ რუსეთში. ხოლო რუსეთში კი მაშინ ბატონყმობას ძალიან სასტიკი ხასიათი ჰქონდა. იქ ყმა სრული საკუთრება იყო თვისი ბატონისა. ბატონი უნდა გაყიდოდა თა

ვისს ყმას, უნდა დააგირავებდა, თუნდ აჩუქებდა ანდა კიდევ მზითვად გაატანდა თავისს დას ან ქალიშვილს. ყმას არაფერი საკუთრება არ ჰქონდა, ყველაფერი ყმისა: მიწა, სახლი და სხვა ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა ჩვენშიდაც ყმა გადაიქცა ბატონის სრულ საკუთრებად.

ჩვენმა მეცხრამეტე საუკუნის ნიჭიერმა მწერლებმა აგვიწერეს დამოკიდებულება ბატონსა და ყმებს შორის. დან. ჯონქედემ თავის „სურამის ციხე“-ში, (მოგვყავს აქვე მისს წიგნიდან „ოსმან აღას თავგადასავალი“) ილ. ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ და პოემაში „კაკო ყაჩალი“ აკაკიმ და სხვებმა.

მათ ნათელ ჰყვეს ყველასთვის, თუ რა გამწვავებული იყო მაშინ დამოკიდებულება ბატონსა და ყმებს შორის, თუ რა ზომამდე აღწევდა ბატონის თავგასულობა თავის ყმების დარბევაში.

შემდეგ როდესაც 19 თებერვალს, 1861 წელს ხელმწიფის ალექსანდრე II-ს ნებით რუსეთის გლეხები განთავისუფლებულ იქნენ, ქართველ გლეხების განთავისუფლების ჯერიც დადგა. ქართველ გლეხების განთავისუფლება მოხდა ტფილისის გუბერნიაში ცალკე და ქუთაისისაში ცალკე თფილისის გუბერნიაში გლეხების განთავისუფლება გამოცხადდა სამი წლით უფრო გვიან ვიდრე რუსეთში, 8 ნოემბერს 1864 წელს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 13 ოქტომბერს შემდეგ 1865 წელს, კერძოდ სამეგრელოში გლეხების განთავისუფლება მოხდა 1 დეკემბერს 1866 წელს.

იმერული ნანინა



ვუძღვნი საბატონო ყმების ახალ-შობილ შვილებს

აპტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

დედა ეტყვის: „გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!

შენს ვაჟ-კაცობას მომასწრებს მე ღვთის მშობელიო,
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:

შენი ვარსკვლავი სხვა არის!— ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!...

ღმერთს შენი ბედნიერება წინედ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!

რისთვის შეჰკრთი? მართალია! რამ შევაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!...

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუნებს, ვერც გაგტებს ვალიო;

შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!

ხომ გიამა, გენაცვალე! მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!..

დიდი-კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო;
აბა შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლესხა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!...

შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ჩინოფნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო ,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი—„მაღეო!“
ამას შენ ვეღარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო,
რომ ვეღარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცანო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
ღღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?
და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!

შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ჰკბკი.

შ ი ნ ა ხ რ ს ი :

I. ბატონ-ყმობა რუსეთში ა. ფ.	3
II. თავისუფლების გამოცხადება.	10
III. ყმა და მებატონე ლექსი ილ. ჭავჭავაძის.	12
IV. მესმის-მესმის ლექსი ილ. ჭავჭავაძის.	13
V. გლეხის აღსარება ლექსი აკაკის.	14
VI. შრომის შეიღოს ლექსი ილ. ჭავჭავაძის.	16
VII. ოსმან-აღას თავგადასავალი „სურამის ციხი- დან“ დ. ჭანჭავაძის.	17
VIII. მებატონის მოგონება სალტიკოვისა (თარგმანი) .	30
IX. ბატონ-ყმობა ჩვენში ლ.	36
X. იმერული ნანინა აკაკის	39

45

